
ჰაინრიჰ ბოლის ფონდში 2009 წლის
9 დეკემბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე:
„პატრიოტიზმი: ინდივიდუალური განცდიდან
სახელმწიფო პოლიტიკამდე“

ლონისძიების დროს ნაჩვენები იყო სალომე ჯაშის
დოკუმენტური ფილმი: „ლიდერი ყოველთვის
მართალია“

ძირითადი მომხსენებლები:

ლაშა ბულაძე – მწერალი
გიორგი გაბაშვილი – საქართველოს პარლამენტის
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის
კომიტეტის თავმჯდომარე
სალომე ჯაში – კინორეჟისორი

მოდერატორი: გიორგი გვახარია

გიორგი გვანასია – დიდი მადლობა სალომეს ამ მშვენიერი ფილმისთვის. დღეს მძიმე დისკუსია გველის. ცოტა გამაკვირვა ფილმის დასასრულს ტიტრში მინაწერმა, რომ ეს იყო პროექტი „ჟამთა სვლა გერმანიასა და საქართველოში“. მთელი ფილმის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ ჟამთა სვლა ამ ქვეყანაში, როგორც ჩანს, არ მომხდარა. გამანსენდა ფილმი „მანანა“, სადაც, თუ გახსოვთ, სპექტაკლს დგამენ. ის სპექტაკლი ბევრად უფრო ბუნებრივი, ცოცხალი და ადამიანური იყო, ვიდრე სპექტაკლი, რომელიც 2009 წლის საქართველოში იდგმება.

დიდი იმედი მაქვს, რომ ის უჯრედი, რომელიც დაგვანახა სალომემ, არ არის ამ ქვეყნისთვის ტიპური, მხოლოდ უჯრედია. ეს მხოლოდ ჩემი იმედია, ამ თემაზე ვისაუბრებთ დღეს.

ლამა ბუღაძე – ცხადია, სიამოვნებას ვერავინ ვერ მიიღებდა იმით, რაც სალომეს ფილმში იხილა. ეს ფილმი პირადად ჩემთვის, არ აღწერს მხოლოდ ამ კონკრეტული პატრიოტთა ბანაკის ამბავს. ეს ფილმი კიდევ ერთხელ მარწმუნებს იმაში, თუ როგორი იდეოლოგიურ-სოციო-ფსიქოლოგიური დომხალია საქართველოში. ბუნებრივია, რომ პატრიოტთა ბანაკი ვერ იქნებოდა განსხვავებული იმ გარემოსგან, რაც ჩვენს ირგვლივა. ეს სამწუხარო ფაქტია, რადგან ახალგაზრდებშიც, სადაც არ ელი პათეტიკას, ისევ გზვდება პათეტიკა, ყალბი რიტორიკა, სანთლები, მუშტებშემართული დგომა და ა.შ. სამწუხაროდ, ეს ფილმი ასახავს ჩვენი საზოგადოების ამ უცნაურ რეალობას, ვერ გაგვირკვევია, რა გვინდა და როგორ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება.

შესაძლოა, ძალიან კარგია ასეთი ტიპის ბანაკების არსებობა, იმ ოჯახების შვილებს, რომლებსაც არა აქვთ დასვენების შესაძლებლობა, ეძლევათ საშუალება, მოხვდნენ ასეთ ადგილას და დაისვენონ და ამაში ცუდი არაფერია. ასეთი ტიპის ბანაკები, სადაც დილით ჰიმნს ასრულებენ და ხაზზე სწორდებიან, სხვა ქვეყნებშიც არის, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიაში. მაგრამ იქ არ არის ასეთი ფსევდოპატრიოტული და იდეოლოგიზებული კონტექსტი და შინაარსი. გერმანულ ბანაკებში არავინ ელაპარაკება ბავშვებს ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნებაზე. ჩემთვის სწორედ ეს იდეოლოგიური კონტექსტია გაუგებარი. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, აჩენს ძალიან სამწუხარო ასოციაციებს. ჩნდება ასოციაცია პიონერულ ბანაკთან. თუმცა არა პირდაპირი მნიშვნელობით. იმიტომ რომ, როგორც ვიცი, პიონერთა ბანაკისთვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი სექსუალურობა და ცინიზმი. იქ რეალურად არავის არ სჯეროდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების და ა.შ. აქ კი გულწრფელ დრამებსა და ტრაგედიებსა საუბარი. იმ სპექტაკლში, რომელიც ვნახეთ, ქალბატონი ნამდვილ ამბებს ყვება, და იმავდროულად ახდენს იმ დრამის დისკრედიტაციას, რომელზეც საუბრობს. ბოდიშს ვიხდი პათეტიკისთვის, ის გულწრფელ ტკივილებს ეხმიანება, რომლებიც შესაძლოა, მართლაც არსებობდეს ჩვენში. ამ ტკივილებთან შეხმიანება, ბუნებრივია, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, განპირობებულია ამ ახალგაზრდების გაბრაზების და გაღიზიანების სურვილით და ესეც ძალიან დამთრგუნველია.

შესაძლოა, არ არის სწორი ასოციაცია და ნამდვილად არ ვადარებ ქართულ პატრიოტთა ბანაკებს „ჰიტლერიუგენდს“, მაგრამ ახალგაზრდების ასეთ კოლექტიურ გარემოში გაბრაზების მცდელობის ასეთი გამოცდილება არსებობს. გერმანულ ბავშვებს ელაპარაკებოდნენ გერმანიის ტკივილებზე, გერმანულ კომპლექსებზე, პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ადამიანებზე და ა.შ. ასე რომ, ეს ასოციაციები, ბუნებრივია, გაჩნდებოდა. თუმცა, ესეც ინფანტილურია, როგორც სხვა ყველაფერი საქართველოში. იმიტომ რომ, რეალურად, თუკი იყო სურვილი, რომ ამ ბავშვებთან ვინმეს ისტორიაზე ესაუბრა, შესაძლებელი იყო მათ ისეთი ადამიანები შეხვედროდნენ, რომლებიც უფრო ღრმად და საინტერესოდ ესაუბრებოდნენ

და არა ამ ყალბი სადღევრძელოების პათეტიკით. საბოლოოდ, გაუგებარია, რას ემსახურება ეს იდეა. ჩემი აზრით, ეს წარუმატებელი იდეაა, ვერ დავინახე მისი შედეგი.

მესმის ჩვენი საზოგადოების მცდელობა, შექმნას იდეოლოგიური რეალობები და მათში იცხოვროს. ჩემთვის ორი ასეთი სოციალური ინსტიტუტი არსებობს, რომელიც ამკვიდრებს იდეოლოგიურ რეალობებს. ესენია სახელისუფლებო ჯგუფი, რომლის პროექტსაც ეს ბანაკები წარმოადგენს და საქართველოს ეკლესია. ეკლესიის შემთხვევაში ხდება რელიგიის გრძნობის დევალვაცია და დისკრედიტირება, და ამ შემთხვევაშიც, ხდება ჩემთვის ყველაზე ღრმა და სათუთი თემების დისკრედიტირება და დევალვირება. ეს ორი ფენომენი იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში საზოგადოება ძალიან დაბნეულია. არც ერთი ამ ჯგუფთაგანი არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, რა ტიპის ქვეყანაში უნდა ცხოვრება, და ორივე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ამას არც ერთი არ აღიარებს, ჩემი აზრით, საზრდოობს საბჭოური გამოცდილებით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში ეს არის საბჭოთა კავშირისა და მართლმადიდებლობის ჰიბრიდი, მითოლოგიური და ინფანტილური პერსპექტივებით, რომ საქართველოს მეფე უნდა ჰყავდეს, მეფის შვილს პატრიარქი გაზრდის და ა.შ. არის მესიანისტური პათეტიკა, რომლის მიხედვითაც ძალიან დაჩაგრულები, მაგრამ თან ძალიან ამაყები და გაბრაზებულები ვართ და არავის არაფერს შევარჩენთ.

საბოლოოდ, ორივე მცდელობა მიმართულია იმისაკენ, რომ ინდივიდუალობამ დაკარგოს თავისუფლება. ამ ფილმიდან ასე ჩანს. ძალიან მომეწონა იმ ბიჭის მაგალითი, რომელიც ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს აბსურდს, რომელიც ამ ფილმში ხდება. მე პატრიოტთა ბანაკებში არ ვარ ნამყოფი, და არ ვიცი იქ რა ხდება, მაგრამ არა მგონია, სალომეს რაღაცები მოეგონებინა. ასე რომ, ეს ფილმიც, რომელიც ასახავს იმ დაბნეულ რეალობას, რომელშიც საქართველო იმყოფება, კიდევ ერთხელ აჩენს შეკითხვას, რომელზედაც არ მაქვს პასუხი, თუ სინამდვილეში როგორ საქართველოში, როგორ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება. დიდი მადლობა.

გიორგი გვახარია – გმადლობთ. ახლა ბატონ გიორგის მოვუსმინოთ. მას შემდეგ, რაც სამივე მომხსენებელს მოვუსმენთ, ყველა თქვენგანს შეეძლება დისკუსიაში ჩართვა.

გიორგი გაბაშვილი – ქალბატონ სალომეს მართლაც არაფერი არ მოუგონებია. ეს არის ფილმი იმის შესახებ, როგორი ცუდი რაღაცები ხდება პატრიოტთა ბანაკებში. მინახავს სხვა ფილმებიც, სადაც ვარდისფერ სათვალესთან მიახლოებული ტონალობით არის საუბარი იმაზე, როგორი უნაკლო და კარგია პატრიოტთა ბანაკები. სიმართლე, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც შუაშია. პატრიოტთა ბანაკები არის ძალიან დიდი პროგრამა, რომელშიც ათობით ათას ადამიანს აქვს მიღებული მონაწილეობა როგორც დამსვენებელს, და ასობით და ათასობით ადამიანს, როგორც მასწავლებელს და ლიდერს. ზოგი ბანაკი წარმატებული იყო, ზოგიც, წარუმატებელი. ზოგის მუშაობა გამორჩეული იყო მეტი გემოვნებით, ზოგისაც – ნაკლებით. ძალიან ბევრი ბანაკი მინახავს, ბევრჯერ ვყოფილვარ სხვადასხვა ადგილას. უსიამოვნო სიტუაციებიც მინახავს და საჭიროდ ჩამითვლია ჩარევა და თქმა, რომ ეს არ იყო იმ პატრიოტთა ბანაკების მთავარი იდეის მიწოდების სწორი გზა. ეს დიდი, ცოცხალი ორგანიზმია ასობით ათასი ადამიანის მონაწილეობით, სადაც არის ცუდიც და კარგიც. ფილმი ყურადღებას ამახვილებს უფრო პრობლემებზე და ძალიან კარგია, რომ ჩვენ ვსაუბრობთ ამ პრობლემებზე. ზოგადად, დისკუსია პატრიოტიზმის შესახებ, ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლოა.

საზაფხულო ბანაკების პრაქტიკა, ლაშამაც აღნიშნა, ფართოდ არის გავრცელებული. ათ მილიონამდე ახალგაზრდა საზაფხულო ბანაკებში ატარებს ზაფხულის დღეებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კიდევ უფრო მეტი კანადაში, საფრანგეთშიც ახალგაზრდების 25%-ი ზაფხულს საზაფხულო ბანაკებში ატარებს. საქართველოში, პატრიოტთა ბანაკები არ არის ერთადერთი ფორმა საზაფხულო ბანაკებისა. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების

ხელშეწყობით სხვა ტიპის ბანაკებიც არსებობს. სტრუქტურა და საფუძველი ამ ბანაკებისა, ბუნებრივია, ჩვენი მოფიქრებული არ არის და პირველივე წელს გვქონდა ურთიერთობა ჩვენს კოლეგებთან და მეგობრებთან საფრანგეთსა და ბრიტანეთში, რომლებმაც ლიდერებისა და ბანაკის მართვის სტრუქტურა მოგვაწოდეს. ის, რაც ეკრანზე იხილეთ, შეიძლება მოგეწონოთ, შეიძლება არა, ბევრმა რაღაცამ შეიძლება გაგაღიზიანოთ, ის სპექტაკლიც, რომელიც ვიხილეთ, არ არის მაღალი გემოვნების ნიმუში, და არც მოველოდი რომ მაინცდამაინც აქ ვიხილავდი მაღალი გემოვნების ნიმუშს, იმიტომ რომ პათეტიკა და ყალბი ტონალობით საუბარი და ხელოვნებაში პატრიოტული იდეების ასეთი სახით გამოხატვა არა მარტო ამ ბავშვებს ახასიათებთ, და არა მარტო ამ სკოლის დირექტორის პრობლემაა, არამედ სახალხო არტისტების შესრულებითაც მინახავს საკმაოდ პათეტიკური და ყალბი ნაწარმოებები, როგორც ტექსტით, ისე გამომხატველობით საშუალებებით. ასე რომ, ამაში განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ვხედავ.

ლიდერების შერჩევა კონკურსის საფუძველზე ხდება. უნივერსიტეტებში იგზავნება თხოვნა, რომ წარმოადგინონ წარჩინებული სტუდენტები. ისინი შემდეგ გადიან ორთვიან მომზადებას, ბუნებრივია, ეს ვერ იქნება სრულყოფილი მომზადება, არის მცირე პედაგოგიური მოდული, შესაბამისი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის პრაქტიკა. შესაძლოა, დღევანდელ ფილმში ვერ ვიხილეთ ამის ნიმუში, მაგრამ კარგი ნიმუშებიც მინახავს, მაგალითად, კრიზისულ სიტუაციებში ლიდერების ჩარევა. მინდა გითხრათ, რომ ასი ათასი ბავშვის დასვენება ხუთი ზაფხულის განმავლობაში ისე, რომ არც ერთი სერიოზული ინციდენტი არ მომხდარიყოს ამ ბანაკებში და ჩვენი ახალგაზრდების განსაკუთრებული მენტალიტეტიდან გამომდინარე, არც ცივ იარაღთან და არც სხვა პრობლემასთან შეხება არ გვქონდეს, პატრიოტული ბანაკების წარმატებად მიმაჩნია. ასევე მიმაჩნია, რომ ბევრ შემთხვევაში ლიდერები ახერხებდნენ ბავშვებამდე იმ იდეის სწორად მიტანას, რაც პატრიოტული ბანაკების საფუძველია. ეს იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვართ ერთი ქვეყანა, ერთი საზოგადოება.

ამ ბანაკებში ერთად ისვენებენ ბავშვები სხვადასხვა რეგიონებიდან, ჯგუფების დაკომპლექტება შერეულად ხდება, ცალ-ცალკე არ არიან ქუთაისელები, ზუგდიდელები და ცალკე თბილისელები. ამ ბავშვებს ეძლევათ საშუალება გაიცნონ თავისი ასაკის ადამიანები და მათთან ერთად გაატარონ ზაფხულის რამდენიმე დღე. არ ყოფილა არც ერთი სერიოზული კონფლიქტი და ჩხუბი ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე. კარგი ლიდერის ნიმუშიც მინდა გაგაცნოთ. ერთხელ, ბაკურიანის ბანაკში, როდესაც შელაპარაკება მოხდა, იქ ვიყავი, ლიდერმა სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების ბავშვები საღამოს დასვა კოცონის გარშემო და თითოეული მათგანი ყვებოდა საკუთარ ეროვნულ ტრადიციებზე. ერთ-ერთმა მოყვა რამადანის ტრადიციის შესახებ, მეორემ, გრიგორიანული ტრადიციის, მესამემ ებრაული ტრადიციის შესახებ და ა.შ. ეს იყო ლიდერის მუშაობის კარგი მაგალითი, როცა ბავშვამდე ხდება იმ იდეის მიტანა, რომ ჩვენ ვართ ერთი საზოგადოება, არა დანაწევრებული, არა ელიტებად დაყოფილი, არამედ ერთი მთლიანი საზოგადოება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ბანაკებში ნამყოფი ბავშვების 90% სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არის და მათ ეძლევათ პატრიოტულ ბანაკებში დასვენების საშუალება. რაც შეეხება კონცეფციას, როგორც გითხარით, სხვა ტიპის ბანაკებიც არსებობს. არის კულტურული მემკვიდრეობის ბანაკები, სადაც აქცენტი ძირითადად მხარეთმცოდნეობის და არქეოლოგიურ ინტერესებზე კეთდება. ევროსაბჭოსთან ერთად იმართება საზაფხულო ბანაკები გრიგოლეთში. „წითელი ბურთები“ – ასე ეწოდება ევროსაბჭოს პროექტს და ეს ბანაკიც ლიდერების სტრუქტურით მუშაობს. ის ძირითადად სპორტულ ინტერესზეა მიმართული.

ეს ყველაზე მასობრივი პროგრამაა, ბუნებრივია, ერთ იდეას უნდა ემყარებოდეს, და ეს იდეა არის პატრიოტიზმი. პატრიოტიზმი საფრთხილო თემაა, როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. აბსოლუტურად უადგილოდ მიმაჩნია შედარება „ჰიტლერიუგენდთან“, სადაც

ბავშვებს ასწავლიდნენ „მიწისა და სისხლის“ თეორიას. რომელიც ნიშნავს იმას, რომ გერმანელი არის ის, ვინც წარმოშობით არის გერმანელი, ვინც არის სუფთა არიული სისხლის მატარებელი, ყველა დანარჩენი აფერხებს გერმანიის განვითარებას და მოსაშორებელია, და გერმანულ მიწაზე გერმანელი ნაციის დომინანტური მდგომარეობაა დასამკვიდრებელი. ეს იყო ალფრედ როზენბერგისა და რუდოლფ ჰესის მწყობრი და საშინელი თეორია, რომელმაც ათასობით ადამიანის მსხვერპლი და წამება გამოიწვია. ვერც პიონერულ ბანაკებთან შედარებას მივიღებ, იმიტომ, რომ პიონერული ბანაკი ემყარებოდა იმ იდეას, რომ მუშათა და გლეხთა წამყვანმა კლასმა უნდა მოიშორის ბურჟუაზიული კლასის ჩაგვრა, თუ საჭიროა, სისხლითაც გაუსწორდეს მას და დაამკვიდროს პროლეტარიატის დიქტატურა.

ბანაკში ისეთივე პრობლემებია, როგორც – ჩვენს საჯარო სკოლებში. თუ შეხვალთ ქართულის გაკვეთილებზე და ნახავთ, როგორ ასწავლიან პატრიოტიზმს, იქაც აღმოაჩინოთ ხარვეზებს. კარგად მახსოვს, პატრიოტიზმის თემაზე ჩვენ საზოგადოებაში მიმდინარეობდა დისკუსია. მსჯელობის საგანი იყო, პასპორტებში ეროვნება „ქართველი“ ჩაგვეწერა თუ მიმართება პატრიოტიზმთან მოქალაქეობის პრინციპზე აგვეგო. ამ ბანაკებში სწორედ იმას ასწავლიან, რომ ჩვენ ვართ ერთი საზოგადოება, ერთი ქვეყანა, მულტიკულტურული და მულტირელიგიური საზოგადოება. ამაზე არა მარტო ესაუბრებიან, არამედ ბავშვებს თავად აქვთ საშუალება გაიცნონ საქართველოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ბავშვები, რაც ჩვენი საზოგადოების დაკავშირებას და ერთიანობას მხოლოდ ხელს უწყობს.

პატრიოტიზმზე საუბრისას ქართველებს ყოველთვის გვახსნიან ზედმეტი პათეტიკა. ბანაკს აქვს თავისი სტრუქტურა და წესები. იქ დისციპლინაა საჭირო და ლიდერი უთუოდ უნდა ლიდერობდეს იმისთვის, რომ კონფლიქტი და ჩხუბი არ მოხდეს. ამ სტრუქტურით იმართება, თუ ხართ ნამყოფები სპორტულ შეკრებებზე, ლიდერი იქაც ყოველთვის მართალია. მაგრამ თუ ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანებს ასწავლი ზიზღს, და განსხვავებულის ვერ ატანას, ეს არის სახიფათო პატრიოტიზმი. ეს დისკუსია საქართველოში დიდად პოპულარული არ ყოფილა. გაგახსენეთ პასპორტის მეხუთე გრაფაში ჩაწერასთან გამართული დისკუსია ქართულ საზოგადოებაში. მეორე დისკუსია იყო განძის გატანის საკითხზე. კარგად მახსოვს ყალბი პატრიოტული ექსტაზი ამასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ ლიდერების „გაიდებში“, რომელიც არ განლავთ დახურული ინფორმაცია, საუბარია იმაზე, რომ პატრიოტიზმი არის საკუთარი საზოგადოების ერთგულება, ამ საზოგადოებაზე ზრუნვა, და პატრიოტიზმი არის იმ პრინციპების ერთგულება, როლი გარშემოც შეკრებილია ჩვენი საზოგადოება. თუმცა, შეიძლება განხორციელების და იმპლემენტაციის დონეზე იყოს პრობლემები.

დისკუსია თემაზე, რა სახის პარტიოტიზმია სასარგებლო და რა სახის პატრიოტიზმის გარშემო უნდა გაერთიანდეს საზოგადოება, გერმანიაშიც მომისმენია. ამ თემამ განსაკუთრებით წამოიწია 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, როდესაც გერმანელები ცოტა დაფრთხნენ შეძახილებზე „გერმანია“ და გერმანული დროშების ფრიალზე. ცოტა უფრო ადრე ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელმა ჰაბერმასმა „ჰერპასუს პატრიოტიზმუს“ უწოდა პატრიოტიზმის იმ მოდელს, რომელიც მისი აზრით, სასარგებლოა გერმანული საზოგადოებისთვის. ამაში იგულისხმება ერთგულება საკუთარი საზოგადოების სამოქალაქო პრინციპების მიმართ. ეს არის საკუთარი კონსტიტუციის და საკუთარი ხალხის მიერ გამოცხადებული წესების ერთგულება.

81-ე სკოლის დირექტორი, რომელიც ჩვენ ამ ფილმში ვიხილეთ, შეიძლება, ნაკლები გემოვნებით ახორციელებს ამ იდეების მიწოდებას. ლიდერს ახალგაზრდებთან კომუნიკაციის სწორ გზად, შესაძლოა, მოძველებიჭო საუბარი მიაჩნია, ეტყობა კამერების წინაშე განსაკუთრებით იბრანჭება თავისი სიმკაცრითა და დისციპლინისადმი თავისი ერთგულებით. მესმის ეს პრობლემები, მაგრამ ვიმეორებ, პატრიოტთა ბანაკები არ არის იდეალური, ის არ

არის უკეთესი, ვიდრე ჩვენი საზოგადოება, მას აქვს ყველა ის პრობლემა, რაც ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ პატრიოტთა ბანაკები არ არის დახურული სტრუქტურა. ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია შექმნას პროექტი, და განახორციელოს ის პატრიოტთა ბანაკებში. ლამაზად თქვა, რომ კარგი იქნება, თუ ამ ბავშვებს საინტერესო ადამიანებს შევახვედრებთ. ასეთი რამ უკვე ხდება და ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა, თუმცა, ეს ფილმში არ გვინახავს. ჩვენ არ გვინახავს ის კარგი წარმოდგენები, რომლებიც პატრიოტთა ბანაკებში დადგმულა, არ გვინახავს უფრო წარმატებული სპექტაკლები. ის, რაც ვნახეთ, არ იყო საუკეთესო, რაც მინახავს პატრიოტთა ბანაკებში. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ უარესიც მინახავს. მაგრამ მთლიანობაში ამ ბანაკებში ჩვენს ახალგაზრდებს, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენების წარმომადგენლებს, აქვთ საშუალება, ერთად გაატარონ ზაფხული. ბავშვები თამაშობენ ფეხბურთს, კალათბურთს, არც ეს ყოფილა ნაჩვენები ამ ფილმში. არც ის საინტერესო დისკუსიები გვინახავს, რომლებიც ტრადიციულად კოცონის გარშემო იმართება, არც დებატები, არც კონფლიქტურ სიტუაციებში ლიდერების მოქმედება. რაც ჩვენ ვნახეთ გამოგონილი არ არის, ისევე როგორც არ არის მოგონილი ის, რასაც ვხედავთ ფილმებში, სადაც ყველაფერი იდეალურადაა წარმოდგენილი. იქ არის წინასწარი განზრახვა ყველაფერი იდეალურად წარმოაჩინონ, აქაც ვხვდებით წინასწარგანზრახვას. ასე რომ, ფილმი ყველანაირად შეიძლება გააკეთო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პატრიოტთა ბანაკები არ არის ჩვენს საჯარო სკოლებზე უარესი. საჯარო სკოლებშიც გვაქვს პრობლემები ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, რელიგიის და რელიგიის ისტორიის სწავლებაშიც, ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ თუ რომელიმე თქვენგანი მეტყვის, რომ პატრიოტთა ბანაკებში ასწავლიან ეთნიკურ ზიზღს, შუღლს, დაპირისპირებას და არატოლერანტულობას, მაშინ აქ სერიოზული ჩარევა იქნება საჭირო.

რაც შეეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემატიკას, ამ ფილმში არც ამაზე ყოფილა საუბარი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი ბავშვი გალიდან და ოჩამჩირედან პატრიოტთა ბანაკებში გადმოდიოდა. ამის აფიშირება, ბუნებრივია, არასოდეს არ მომხდარა. და კიდევ ერთი დადებითი მხარე ამ ბანაკებისა ის იყო, რომ ამ ბავშვებს ერთად შეეძლოთ ზაფხულის გატარება. ეს ჩუმად ხდებოდა. სამხრეთ ოსეთის არაქართული სოფლებიდანაც ბევრი ბავშვი გადმოსულა ჩვენს პატრიოტთა ბანაკებში. ალიკ კოზაევი ამის ორგანიზაციისთვის დააპატიმრეს კიდევ.

კარგად მესმის, რომ გემოვნების საკითხებზე დავა შეიძლება, მაგრამ ეს არ არის იზოლირებული პრობლემა. პატრიოტიზმის გადმოცემა და სწავლება ყველაზე ძნელია. პატრიოტიზმის ზედაპირული შეძახილებით გამოხატვა ყოველთვის იწვევს გარკვეულ ირონიას, და აქ შეიძლება კორექტივების შეტანა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთლიანობაში ეს პოზიტიური პროექტია და ის უნდა გაგრძელდეს და დაიხვეწოს, ლიდერები უკეთ უნდა მომზადდნენ. ეს არის პროექტი, რომელშიც საზოგადოება უნდა ჩაერთოს, შეგიძლიათ ზაფხულში გამონახოთ დრო და ეწვიოთ ამ ბავშვებს და მათ თქვენი ცოდნა და გამოცდილება გადასცეთ. შეგიძლიათ, მათ ფილმები აჩვენოთ, თეატრზე ესაუბროთ, შეგიძლიათ, მოაწყოთ დისკუსია პატრიოტიზმზე, ეს ღია და გახსნილი ასპარეზია და მისი გამოუყენებლობა არასწორი იქნებოდა. ასევე არასწორი იქნებოდა ამ ბანაკების მიმართ ხელალებით გალაშქრება. პატრიოტიზმის იდეაში, თუ ის სწორად არის მოფიქრებული, და ახალგაზრდებამდე სწორი ფორმით მიტანილი, ცუდი არაფერი არ არის. ცუდია ის, როცა პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს ზიზღი და არატოლერანტულობა. ბევრი პრობლემაა, მაგრამ მათ მოგვარება საჭიროდება.

გიორგი გვახარია – ვიდრე სალომეს გადავცემდე სიტყვას, მინდა ბატონ გიორგის ვუპასუხო. თქვენ თქვით, რომ ამ ბანაკებში არ ასწავლიან ეთნიკურ ზიზღს. მე თუ მკითხავთ, ამ ფილმის მიხედვით, იქ არაფერს არ ასწავლიან, გარდა იმისა, რომ ლიდერი ყოველთვის მართალია.

ბატონმა გიორგიმ თქვა, რომ ის, რაც ვნახეთ, შეიძლება მოგვეწონოს ან არ მოგვეწონოს. მე მაინტერესებს, თუ არიან დარბაზში ისეთები, ვისაც მოეწონა ის, რაც ამ ფილმში იხილა. თუ ასეთები არიან, დისკუსიას სწორედ ისინი გახსნიან.

ახლა სალომეს მოვუსმინოთ, შემდეგ კი დისკუსიას გახსნილად გამოვაცხადებთ. მეც მაინტერესებს, იქნებ მართლაც იყო წინასწარგანწყობა ამ ფილმზე მუშაობის დაწყებამდე. ასეთი აზრი ფილმის ყურებისას მეც დამებადა. იქნებ მართლაც არის სხვა კარგი ბანაკები, რატომ არ მოინდომა მათი გადაღება?

ის ქალბატონი კი, სკოლის დირექტორი, მომავალ წელს ალბათ ისევ წაიყვანს ახალგაზრდებს ბანაკში, შესაძლოა, მერე ორდენიც მიიღოს.

გიორგი გაბაშვილი – მომავალ წელს რომ გამოცხადდება ლიდერების კონკურსი, დარმწუნებული ვარ, თქვენ მასში არ მიიღებთ მონაწილეობას.

გიორგი გვახარია – თქვენ ბრძანეთ, რომ ლიდერი ყოვეთვის მართალია. მე ასე არ მიმაჩნია. ანუ, პრინციპი გვაქვს განსხვავებული. როგორ შეიძლება ლიდერი ყოველთვის მართალი იყოს, რომელ ლიდერზეა საუბარი.

გიორგი გაბაშვილი – საუბარია ბანაკის ლიდერზე, რომელიც უნდა დაეხმაროს ბავშვს რეჟიმის დაცვაში. თქვენ თუ ფიქრობთ, რომ 350 ახალგაზრდის ერთ ბანაკში მართვა, ისე, რომ იქ არ მოხდეს კონფლიქტები, ადვილია, ძალიან ცდებით.

იმ ქვეყნებში, რომლებშიც არსებობს ბანაკები, ბანაკის მართვის ტექნოლოგია და პრინციპი ერთი და იგივეა. ის ემყარება ლიდერებს, ან სკაუტებს. ვიმეორებ, ბევრ კარგ ქვეყანაში არის ბევრი კარგი ბანაკი, სადაც ასევე ლიდერების პრინციპით ხორციელდება მართვა.

თქვენ შესაძლოა, სიტყვებში, „ლიდერი ყოველთვის მართალია“, პოლიტიკურ კონტექსტს დებთ. ლიდერი ყოველთვის მართალია იმაში, რომ ერთმა ბავშვმა მეორეს შეურაცხყოფა არ მიაყენოს.

გიორგი გვახარია – ამის თქმის უფლებას მე ჩემი პედაგოგიური გამოცდილება მაძლევს, ჯერ კიდევ 1985 წლიდან იმას ვეუბნები სტუდენტებს, რომ ლიდერი ყოველთვის მართალი არ არის.

სალომე ჯაში – დიდი მადლობა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს ამ დისკუსიისთვის და ფილმის ჩვენებისთვის. დაისვა შეკითხვა წინასწარგანზრახვაზე. რა თქმა უნდა, ყველაფერზე გვაქვს წარმოდგენა, და მეც მქონდა წინასწარი წარმოდგენა პატრიოტთა ბანაკზე. თუმცა, ყოველთვის, როდესაც მივდივარ გადაღებაზე, ვცდილობ გავთავისუფლდე წინასწარი წარმოდგენებისგან. იმიტომ რომ ვიცი, ჩემი საბოლოო წარმოდგენა, პირველთან შედარებით, შეიცვლება.

ლიდერებს, რომლებიც გადიან ტრენინგს, აქვთ თავიანთი წესები. ბანაკში არის ათი მთავარი წესი. პირველი წესია, „ლიდერი ყოველთვის მართალია“. შემდეგ მოჰყვება რვა სახალისო წესი და მეათე წესია, რომ თუ რომელიმე პუნქტს არ ეთანხმები, უნდა გაიხსენო წესი ნომერი პირველი.

გიორგი გაბაშვილი – ეს იუმორით გაზავებული წესებია. ურთიერთობაც, ლიდერებს და ბავშვებს შორის, ძირითადად მეგობრულია.

სალომე ჯაში – გეთანხმებით, ეს არის ათი იუმორისტული წესი. თუმცა, ფილმში ჩანს მისი ამბიგალენტურობაც.

2005 წელს, როდესაც ეს ბანაკები გაიხსნა, ტელევიზიაში ვმუშაობდი და მომიწია ერთ-ერთი ბანაკის შესახებ სიუჟეტის მომზადება. პირველ წელს ბანაკში სამხედრო კარვები იყო. მაშინ პირველად დავინტერესდი ამ ბანაკით. იმავე წელს ვნახე, რომ სამხედრო ოფიცრები ასწავლიდნენ ბავშვებს იარაღის სროლას. ამ მილიტარისტულმა ფაქტმა კიდევ უფრო დამაინტერესა. თუმცა, ეს ასპექტი ბანაკებში მეორე წლიდან აღარ ყოფილა. ამ წლების განმავლობაში ყოველთვის მინდოდა ბანაკებზე ფილმის გადაღება, რადგან ვფიქრობდი, ეს მომცემდა იმის საშუალებას, გამეგო, როგორები არიან ის ახალგაზრდები, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემდეგ დაიბადნენ, როგორ სწავლობენ ისინი პატრიოტიზმს და როგორ ესმით პატრიოტიზმი. ჩემთვის ეს საკვლევი თემა იყო და ვცდილობდი, არ მქონოდა წინასწარ განსაზღვრული მოსაზრებები ამის შესახებ.

გადაღებების დაწყებამდე უნდა შემერჩია ლიდერი, რომელიც არის თითქმის იმავე ხნის, რა ხნისანიც არიან პატრიოტები, ის მართავს თავის რაზმს და აწვდის იდეებს. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია ბანაკში და ამიტომაც მინდოდა, ფილმში აქცენტი ლიდერებზე გაკეთებულიყო. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათი დიდი ნაწილი შემდეგ სამართალდამცველ სტრუქტურებში მიდის, და მათ დიდ ნაწილს აქვს ამბიცია, რომ შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებში მოხვდეს. ამის შესახებ ერთ-ერთმა ლიდერმა პირდაპირ თქვა ინტერვიუში.

ფილმი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, განმუხურის ბანაკში მინდოდა გადაემეღო. იქ ჩავედი კიდევ, კვლევაც ჩავატარე, გმირიც შევარჩიე, მაგრამ ომის დაწყების გამო, გადაღებები გადაიდო. მაშინ წინასწარი ინტერვიუები ჩავწერე კვლევისთვის. ვეკითხებოდი ლიდერებს, რა იყო მათი აზრით პატრიოტიზმი. მპასუხობდნენ, რომ პატრიოტიზმი არის სამშობლოს სიყვარული. იმაზე კი, თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, ამბობდნენ, რომ სამშობლოს სიყვარული არის ომში წასვლა, ტრადიციების დაცვა, ერთ-ერთი პასუხი სუფრას და სადღეგრძელოსაც ეხებოდა. პასუხების 80%-ზე მეტი სამშობლოს სიყვარულად ომში წასვლას გულისხმობდა.

ფილმის გადაღებას ათი დღე მოვანდომეთ, თუმცა მანამდე ორი ვიზიტი გვქონდა ვარციხეში, ქუთაისთან ახლოს. ვარციხის ბანაკი იმიტომ შევარჩიე, რომ ის მგზავრობის მხრივ მოსახერხებელია. ჩემთვის არავის უთქვამს, რომ მაინცდამაინც იქ გადაემეღო ფილმი და არც ვიცოდი, იქ რა დამხვდებოდა. წინასწარ ჩასვლის დროს შევარჩიეთ ლიდერი, გავიცანით კოორდინატორი და შემდეგ უკვე ბავშვების ნაკადთან ერთად ჩავედით ბანაკში, ისე რომ წინასწარ არ ვიცოდით, ვინ იქნებოდა მათ შორის.

ბანაკში ყოფნისას, პირისპირ საუბრისას ბავშვებს ვეკითხებოდით ხოლმე, რას უკავშირდებდნენ ისინი ბანაკში პატრიოტიზმს. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მათი პასუხები. იყო ასეთი პასუხიც, რომ ამ ბანაკში არაფერი არ არის პატრიოტული. გამაკვირვა ამ პასუხმა, იმიტომ, რომ მიმაჩნდა, რომ პატრიოტიზმი არის ამ ბანაკების ერთ-ერთი ჩვეულებრივი ნაწილი, იქ არის ჰიმნი, დროშის სიყვარული, პატრიოტული შემახილები. მაკვირვებდა, რომ ისინი ვერ ხედავდნენ ამ იდეას, რომელიც ჩემთვის, როგორც ფილმის ავტორისთვის, ყველაზე საინტერესო იყო ამ ბანაკში.

ბანაკის ერთ-ერთი მთავარი იდეა იყო „ძალა ერთობაშია“. ეს ამ ფილმიდანაც ჩანს, ერთად ყოფნა კი ერთი იდეის გარშემო ყოფნაა. ამ ერთობით ყველა ძალიან კმაყოფილია, ბავშვების 99% პატრიოტთა ბანაკებიდან სახლში დადებითი შთაბეჭდილებებით ბრუნდება. მოგვიანებით ბანაკი თავისი ბავშვებით, ლიდერებით, კოორდინატორით, ხელმძღვანელით და მისი მოადგილეებით ჩემთვის აღმოჩნდა ქვეყნის მართვის მოდელი. ის ძალიან ჰგავდა ქვეყნის მოწყობის სისტემას. **გიორგი გაბაშვილი** – ხომ არ შესწრებიხართ ისეთ სიტუაციას, როდესაც ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ ნამდვილი ქართველი ის არის, ვინც წარმოშობით ქართველია?

სალომე ჯაში – არა, ასეთი რამ არ ყოფილა. თუ კოორდინატორს წამოსცდებოდა „ქართველებო“, შემდეგ აუცილებლად დასძენდა, „არაქართველებო“. ბანაკში იყო სომხების

რაზმიც, ეს ცოტა რთული ჯგუფი იყო, რამდენიმე მათგანი იყო პრობაციონერი. ამ რაზმის 90% ბიჭები იყვნენ. საერთოდ, ცალკე იყო თბილისიდან ჩასული ბავშვების რაზმი, ზუგდიდელების, და ა.შ.

გიორგი გვახარია – ჩემი აზრით, ამ ფილმის პრობლემა არ არის ის, აქ პატრიოტიზმზე საუბრობენ თუ არა, ვფიქრობ, ბანაკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გემოვნებისაა. ჩვენ, შესაძლოა, აგდებულად ვუყურებდეთ ესთეტიკური გემოვნების ფაქტორს და მიგვაჩნია, რომ გემოვნებაზე ლაპარაკი მხოლოდ სნობებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ შემამფოთებელია ის, რომ ასეთი გემოვნება სამწუხაროდ, დისკრედიტაციას უწევს ისეთ გრძნობას, როგორც არის პატრიოტიზმი, რწმენა.

ლაშა საუბრობდა ორი ტიპის პათეტიკაზე, რელიგიურზე და საეროზე. მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ მეორე ტიპის იდეის ავტორები ცდილობენ ასე დაუპირისპირდნენ პირველ პათეტიკას და ჩაანაცვლონ იგი. ეს გზა, ჩემი აზრით, სრულიად არაეფექტური და არაპროდუქტიულია. დარწმუნებული ვარ, არც ბატონ გიორგის არ მოსწონებია ის, რაც ამ ფილმში ვნახეთ.

გიორგი გაბაშვილი – უკეთესი სპექტაკლები ნამდვილად მინახავს.

სალომე ჯაში – სპექტაკლები ბანაკში ყოველ სადამოს იდგმება. ათი დღიდან ერთ-ერთი დღე არის საქართველოს დღე და ეს ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დღედ. ეს სპექტაკლიც ამ დღესთან დაკავშირებით დაიდგა. ბანაკის ხელმძღვანელის მიერ ეს სპექტაკლი ამ ნაკადის საუკეთესო სპექტაკლად შეფასდა.

გიორგი გვახარია – კეთილი. ახლა უკვე შეგვიძლია კითხვების დასმაც.

ნიკოლოზ დევდარიანი – დიდი მადლობა სალომეს ამ ფილმის გადაღებისთვის და იმისთვის, თუ როგორ დაგვანახა რეალობა. ძალიან საინტერესო იყო, გვენახა ფეხბურთის შეჯიბრებები, მაგრამ ის რაც ვნახეთ, არანაკლებ საინტერესო იყო.

ბატონმა გიორგიმ ადმინისტრაციულ საკითხებზე უფრო გაამახვილა ყურადღება, თითქოს ეს ყოფილიყო ამ ფილმის ძირითადი იდეა. აქ უფრო იდეოლოგიურ საკითხზეა საუბარი, იმაზე, თუ როგორ განიხილავენ პატრიოტიზმს და პრობლემაა ის, რომ „ლიდერი ყოველთვის მართალია“. ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომლებიც დაგვანახა ამ ფილმმა. ის, რაზეც თქვენ თქვით, რომ არ გაშუქებულა, არც უნდა გაშუქებულიყო.

გიორგი გაბაშვილი – პატრიოტიზმთან დაკავშირებული პრობლემებიარსებობს, და ამაზე დღეს პირველად არ დავფიქრებულვართ. ძალიან კარგად მახსოვს, 90-იან წლებში უნივერსიტეტის აუდიტორიაში და არა პატრიოტთა ბანაკში, ძალიან სახელოვანი ადამიანების გამოსვლა, სადაც მარნეულს და ახალქალაქს, ტაშის გრიალის ქვეშ უწოდებდნენ ეთნიკურად დაბინძურებულ რაიონებს. მახსოვს დიდი პოლიტიკური ფორუმებიც, სახელით „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, მახსოვს ისიც, რომ სრულიად ლეგიტიმური პოლიტიკური დისკუსიის ნაწილი იყო, რომ არ გვინდა კერძო საკუთრება, იმიტომ რომ ამით არაქართველები ისარგებლებენ. ამ იდეოლოგიის ნიშანწყალს ამ ბანაკებში, ვერ ნახავთ. თქვენ აქ ნახავთ მხოლოდ იმას, რაც არის ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, რომ ჩვენ ვართ ერთი საზოგადოება, ერთი ქვეყანა, მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური აღმსარებლობისა. ერთად ცხოვრებაში უნდა გავიზარდოთ და გავზარდოთ ჩვენი ქვეყანა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

თუ ჩავაცვივდებით ფრაზას, „ლიდერი ყოველთვის მართალია“, ლიდერი ყოველთვის მართალი არ არის. ლიდერი მართალია ხუმრობით. ნუ გავხდით ამას ლეიტმოტივურ ფრაზად, რომელსაც ემყარება ეს ბანაკები.

ნინო ზურიაშვილი, სტუდია „მონიტორი“ – ბატონმა გიორგიმ ბრძანა, რომ ლიდერებისთვის არსებობს გაიდლაინები, ისინი გადიან ორთვიან წვრთნას, და რომ პატრიოტიზმი დღეს უკვე გვესმის, როგორც კონსტიტუციისადმი და კანონის უზენაესობისადმი ერთგულება. ამ ფილმში არ ჩანს ის, რომ ამ ღირექტორმა წვრთნა გაიარა. ის, როგორც ასწავლიდა ღირექტორი პატრიოტიზმს, მარტო უგემოვნება კი არ არის, საერთოდ, არ არის კავშირში პატრიოტიზმის თქვენეულ განხილვასთან. რატომ არის ასეთი აცდენა, ორთვიან კურსებზე არ ასწავლეს ამ ადამიანს ის მიდგომა, რომელზეც თქვენ გვესაუბრეთ?

გიორგი გაბაშვილი – არის ძალიან მცირე პედაგოგიური მოდული, რომელიც ნამდვილად არ არის საკმარისი. არათუ ორთვიანი მომზადება, შესაძლოა, ხუთწლიანი უნივერსიტეტიც დაამთავროს ადამიანმა და ბოლომდე საკითხს ვერ დაეუფლოს, მაგრამ ასწავლიან პედაგოგიურ მოდულს, რომელიც ევროსაბჭოსთან ერთად არის შედგენილი. ასწავლიან საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, და ეს არის ერთადერთი, „იდეოლოგიური“ რამ, რასაც ასწავლიან. ასევე ასწავლიან ახალგაზრდებს შორის კონფლიქტის დარეგულირების გზას, ზოგად წარმოდგენას უქმნიან ასაკობრივ ჯგუფებთან უერთიერთობაზე. ასევე ასწავლიან სპორტულ თამაშობებს და უნარებს, ეს არის ის, რასაც გადიან ამ ორი თვის განმავლობაში. მაგრამ ლიდერებიდან ზოგი ავლენს უნარებს, ზოგი ვერა.

რაც შეეხება ამ ღირექტორის დადგმას, ვიმეორებ, პატრიოტიზმის თემაზე ბევრად უფრო პათეტიკური სპექტაკლები მინახავს სახალხო არტისტებისა და რეჟისორების მონაწილეობით.

შორენა შავერდაშვილი, ჟურნალი „ლიბერალი“ – რაზეც ბატონი გიორგი საუბრობს, ჩემი აზრით, სამოქალაქო განათლების იდეაა. არის მსჯელობა, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს სამოქალაქო ღირებულებები, სახელმწიფოებრივი შეგნება, ზოგადად, სამოქალაქო განათლება როგორ უნდა გახდეს სკოლებში კურიკულუმის ნაწილი. ის იდეები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, ამ ფილმში არ ჩანს. აქ ჩანს პატრიოტიზმის იდეოლოგიზებული, ზედაპირული, მექანიკური ლოზუნგების დონეზე სწავლება.

იქნებ ყველამ ერთად ხელახლა გავიაზროთ, რა შეიძლება იყოს პატრიოტთა ბანაკები და რა შეიძლება იქ ისწავლებოდეს და არ ისწავლებოდეს. იქნებ იყოს ეს ბანაკები, სადაც მარტო გართობა იქნება. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ მას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ფუნქცია, მაშინ ვისაუბროთ, როგორ განათლებთ ამ ადამიანებს. რაც ჩვენ ვნახეთ, მართლა მარაზშია. თუმცა, გეთანხმებით, რომ ამ ბანაკებში, შესაძლოა, გაცილებით მეტი კომპლექსური რეალობა იყოს, ვიდრე ფილმში ჩანს. სალომესიც მესმის, მას ეს თემა აინტერესებდა და ამაზე ისაუბრა თავის ფილმში. იმაშიც გეთანხმებით, რომ ის, რაც არის პატრიოტთა ბანაკში, არის მთელ ჩვენს საზოგადოებაშიც.

ინა ინარიძე – მე მაქვს შეხება ბავშვებთან, ბავშვთა შემეცნებით-გასართობ ცენტრებს ვხელმძღვანელობ. რაც ჩვენ ვნახეთ, ჩემი აზრით, ბავშვის უფლებების დარღვევაა. ეს თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ბავშვს ვაიძულებთ აკეთოს ის, რისი კეთების სურვილიც მას არა აქვს.

თქვენ თქვით, რომ ასეთი ბანაკები საფრანგეთშიც არის. საფრანგეთში არც ერთი საბავშვო შემეცნებითი-გასართობი ცენტრი, ისინი ასე უწოდებენ ბანაკებს, არ არის იდეოლოგიზებული.

იდეა შესანიშნავია, მაგრამ იქნებ მართლაც მოვიფიქროთ, როგორ ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ბავშვები გახდნენ ჩვენი საზოგადოების წევრები და მოქალაქეები. იმიტომ რომ ეს ურაპატრიოტიზმი და დროშების ფრიალი საბოლოოდ შედეგს ვერ გამოიღებს.

მაინტერესებს, რატომ არ არიან ამ ცენტრებში უფრო მცირე ასაკის ბავშვები.

გიორგი გაბაშვილი – თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ საფრანგეთის დასასვენებელ ბანაკებში არ არის პროგრამა „საფრანგეთის კარგი მოქალაქეობა“?

მესმის, რომ „გაუმარჯოს“ და „ჯოს-ჯოს“ ყვირილი ზედაპირულია, მაგრამ ამ ბავშვების ორი კვირის განმავლობაში ერთად ყოფნა არ არის ზედაპირული და იძლევა შედეგს.

ნინია კაკაბაძე, ჟურნალისტი – სალომემ თქვა, რომ პატრიოტიზმი ამ ბანაკში არის ერთი პატარა ნაწილი, მაგრამ თვითონ ეს ბანაკიც ხომ ამ ქვეყნის ერთი პატარა ნაწილია. ჩვენ ახლა ისე ვსაუბრობთ, თითქოს არ გვანსოვდეს, რომ პატრიოტიზმის პროპაგანდა მთლიანად ქვეყანაში ხდება, ტელევიზიით, ვიდეო-როლებით, რეკლამით, ბილბორდებით. და ეს ხდება ისევე ზედაპირულად, როგორც ხდება ამ ბანაკებში. ჩვენ ამ ბანაკის მაგალითზე პირველად არ დაგვინახავს, როგორ ასწავლიან პატრიოტიზმს ბავშვებს.

არის იდეა, რომ ეს პატრიოტიზმი, რომელსაც ასეთ რეკლამირებას ვუკეთებთ ქვეყანაში, ქართული ეკლესიის, შექმნილი და მოფიქრებულია მართლმადიდებლობის საპირწონედ. ჩვენ არ მოგვწონს ის ფორმები, რომლითაც ვუპირისპირდებით ეკლესიას, მაგრამ რა შეიძლება იყოს დაპირისპირება, როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

გიორგი გაბაშვილი – ნინია, უკაცრავად, პატრიოტიზმი, როგორც ცნება რომ ცუდია, ამაზე უკვე შევთანხმდით? ფორმაზეა ლაპარაკი თუ შინაარსზე?

გივი თევზაძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი – როცა ოთხი ინტელექტუალი ზის მაგიდასთან და აქედან ორი იტყვის რომ პატრიოტიზმის ფაქიზი და სათუთი თემაა, აქ მთავრდება პატრიოტიზმზე სერიოზული მსჯელობა. პატრიოტიზმი არის სახელმწიფოსთან იდენტობის საკითხი. სიტყვა პატრიოტიზმი თუ ვინმეს ძალიან უშლის ნერვებს, შეგვიძლია ვილაპარაკოთ იდენტობაზე, რომელიც ადამიანს აქვს სახელმწიფოსთან.

რაც შეეხება ბანაკს, ეს სიმპტომია. ისეთივე სიმპტომია, როგორც კირთაძის „დურაკოვ“. და როგორც „დურაკოვ“ მიუთითებს იმაზე, თუ როგორი ცხოვრებაა რუსეთში, ეს ფილმიც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო ცდილობს სახელმწიფო იდენტობის დანერგვას. სხვა ამბავია, როგორ ცდილობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ბანაკი ასეთია, თუმცა არ გამოვრიცხავ იმას, რომ ბევრია ასეთი. ჩვენი სკოლების მასწავლებლები მოსალოდნელია, რომ სწორედ ასეთი ლიდერები იყვნენ. თუმცა, კარგი მასწავლებლებიც მინახავს, განსაკუთრებით რეგიონებში. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვივარაუდო, რომ ისინი თავიანთ რეგიონებში კარგი ლიდერები არიან.

რატომ მუშაობს სახელმწიფო ასე აგრესიულად თავისი იდენტობის დასანერგად? ვფიქრობ, ეს არის მისი რეაქცია, გაცნობიერებული ან შესაძლოა, გაუცნობიერებელი, იმ ინდოქტრინაციის წინააღმდეგ, რომელიც ხდება ეკლესიის საშუალებით. აიღეთ საეკლესიო გამოცემები და იქ ნახავთ რაზეა იდეოლოგია მიმართული. რელიგიური იდენტობა საქართველოში მიმართულია ეროვნული სახელმწიფო იდეის წინააღმდეგ. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკა, რომელიც შეიძლება ბევრი ფორმით

გამოიხატოს, მათ შორის ცუდი და სასაცილო ფორმითაც, ვფიქრობ, სახელმწიფოს გადარჩენის სტრატეგიაა. სწორია თუ არა, რომ სახელმწიფოს გადარჩენა უნდა, საკამათოა. ასევე, რამდენად სწორია, რომ სახელმწიფოს გადარჩენის სტრატეგია აგრესიულად ცდილობს ეროვნული იდენტობის დანერგვას, ესეც საკამათოა. საკამათოა ისიც, რამდენად არის მართლმადიდებლობა მიმართული ერის, სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუმცა ამის დაამადასტურებელი ბევრი საბუთი არსებობს.

ასეთი პატრიოტული ბანაკები იმიტომ არის, რომ ასეთია ჩვენი განათლების სისტემა და ეთნიკური ნაციონალიზმი. ის ქალიც, რომელიც ლაპარაკობს ფილმში, არის იმ ეთნიკური ნაციონალიზმის შედეგი, რომელიც 60-იან წლებში გაჩნდა საქართველოში და იმის მერე ვერაფრით ვერ მოვიშორეთ.

გიორგი გვახარია – რატომ ვერ მოვიშორეთ?

გიგი თევზაძე – იმიტომ ვერ მოვიშორეთ, რომ საქართველოში სოციალური ანალიზის უნარი ცოტაა და არის პათეტიკური პატრიოტიზმი. ლამაც კი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური ადამიანია, ვისაც მე ვიცნობ, ვერ ასცდა იმას, პატრიოტიზმზე ეთქვა, რომ ეს არის ფაქიზი და სათუთი თემა. ამიტომაც ვერ მოვიშორეთ.

ლამა ბულაძე – არ მითქვამს, რომ პატრიოტიზმი ფაქიზი თემაა. მე ვთქვი, რომ ჩემთვის, ისევე როგორც ბევრი ადამიანისთვის, ფაქიზი და სათუთი თემაა ის ამბები, რომელთა დისკრედიტირებასაც ახდენს ეს ლიდერი. ჩემთვის პრობლემა სხვა რაღაცაა. გიორგიმაც თქვა, არის რიგი პრობლემები, რომლებიც არსებობს ქართულ საზოგადოებასა და მენტალიტეტში და ეს პატრიოტული ბანაკი კიდევ ამატებს პრობლემას, დამატებით სოციალურ სიმახინჯესაც ამკვიდრებს. ჩვენ მოვისმინეთ პათეტიკური საუბარი საქართველოზე, ცრემლზე, ტკივილებზე, რასაც „უცნობი“ აკეთებს საკანში, რასაც ის ხალხი აკეთებდა 26 მაისს. იგივე მარაზმი მეორდება. ლიდერი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, კლასიკური ძველი ბიჭია. აქ ითქვა, რომ ის უბრალოდ ცდილობს მათივე ენაზე ელაპარაკოს ახალგაზრდებს. იმ კადრს გაგახსენებთ, სადაც ერთ ბიჭს ეუბნება, რომ იმისათვის რომ ლიდერი გახდეს, ჯერ კარგი ბავშვი უნდა იყოს. ე.ი. კარგი ბიჭი უნდა იყო, რომ ქურდი გახდეთ, ასეც შეგვიძლია განვმარტოთ. მხოლოდ ტერმინოლოგიურ და ფორმალურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. ჩემთვის ეს არ არის ისეთი ადგილი, სადაც შეიძლება ალტერნატივაზე ვისაუბროთ, რომელიც თურმე ეკლესიისაგან დამოუკიდებლად იქმნება.

გიორგი გაბაშვილი – მე მართლაც ვთქვი პატრიოტიზმზე, რომ ეს საფრთხილო და სათუთი თემაა, გააჩნია, როგორც პატრიოტიზმს ვგულისხმობთ. პატრიოტიზმის ძალიან ბევრი გაგება არსებობს. ზოგიერთი გაგება სახიფათოც კია. პატრიოტიზმი, როგორც ის იყო განმარტებული ევროპის ნაწილში, ძალიან სახიფათო და საშიში იყო. პატრიოტიზმი, ისე როგორც არის განმარტებული დღეს და აქ, არის მაკონსოლიდირებელი ძალა საზოგადოებისთვის და არც სახიფათოა და არც საშიში.

გიორგი გვახარია – პატრიოტიზმი არც მე მიმაჩნია სათუთ და ინტიმურ თემად, მასზე საუბარი შეიძლება და პატრიოტად აღზრდაც აუცილებელია, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანა ნახევრად დაპყრობილია, მაგრამ ამ ბანაკში, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ცდილობენ შექმნან ჯოგი. და ამას აკეთებს ორივე ინსტიტუტი, ორივეს აწყობს, რომ ჰყავდეს მორჩილი ჯოგი, რომლებსაც დავარქმევთ პატრიოტიზმს და რომელიც დაგმორჩილდება, რადგან ლიდერი ყოველთვის მართალია. მე ეს მაშფოთებს, თორემ პატრიოტთა ბანაკები უნდა იყოს და სამშობლოც უნდა უყვარდეთ ადამიანებს.

ანუნა ბუკია, გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“ – მე არა ვარ საბჭოთა საქართველოს შვილი, ბევრად უფრო პატარა ვარ ასაკით, მაგრამ პირველი, რაც გამახსენდა იყო საბჭოთა პლაკატი წარწერით: „НЕ БОЛТАЙ“. რატომღაც ვიფიქრე, რომ ზუსტად იგივე იდეოლოგია იყო, მხოლოდ ფრაზები იყო განსხვავებული. ჩემთვის გაუგებარია, მოგწონდათ თუ არა თქვენ ის ლოზუნგები, რაც იყო პიონერებსა და კომკავშირლებში.

გიორგი გაბაშვილი – არა, ნამდვილად არ მოგვწონდა. კარგად მახსოვს, დილით ძმურ რუსეთზე და საბჭოთა კავშირზე საუბარი, საღამოთი კი – ლაღო ასათიანის ლექსები. კარგად მახსოვს ეს სიყალბე. თქვენს მიერ დასახელებულ ლოზუნგს ამ ბანაკს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. არის ტრადიცია და სპეციალური პროგრამა, კარგი ლიდერი ამას უნდა აკეთებდეს, უნდა წამოჭრას პრობლემური თემები და მოაწყოს დისკუსია. ბევრ ბანაკში ეს კეთდება, მაგრამ, შეიძლება, სადღაც არ კეთდება. თუ მხოლოდ პატრიოტიზმის გარეგნულ გამოვლინებებს და შეძახილებს დაინახავთ, მაშინ სურათი კომიკურია. მაგრამ თუ დავინახავთ სურათს, რომელზეც ახალგაზრდები სხვადასხვა რაიონიდან და კუთხიდან ერთად ატარებენ ზაფხულს და აქვთ ზაფხულის ერთად გატარების საშუალება, ამაში სიყალბეს ვერ ვხედავ. პატრიოტიზმის შედარება კომუნისტურ იდეოლოგიასთან კი, არაკორექტულად და არამართებულად მიმაჩნია.

ანუნა ბუკია – შეიძლება, ბავშვი დაშავდეს და მერე მოიშუშოს იარა, მაგრამ იდეოლოგიურ იარაგს, თუნდაც იმას, რომ ლიდერი ყოველთვის მართალია, რომელსაც ამ ასაკში ვიღაცები უნერგავენ, ვერაფერი მოაშუშებს.

გიორგი გაბაშვილი – პატარაობაში, როდესაც კალათბურთიდან ბაზალეთზე „ზბორეზე“ დავდიოდით, იქაც გვყავდა მწვრთნელები და რეჟიმს და დისციპლინას იქაც ვიცავდით. ასეა მიღებული სპორტულ, დასასვენებელ და სახელოვნებო ბანაკებშიც.

სალომე ჯაში – ვალდებული ვარ, დავიცვა ჩემი ფილმის გმირები. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ ცუდად იქცევიან სკოლის დირექტორი და ლიდერი ბიჭი. ყველა, ვინც ბანაკში იმყოფება, ისე იქცევა, რომ მისი საქციელი მოსაწონი იყოს უფროსისთვის. მაგალითად, ლიდერი მოქმედებს ისე, რომ მისი ქცევა მოსაწონი იყოს ბანაკის კოორდინატორისთვის, ბანაკის კოორდინატორი იქცევა ისე, რომ ეს მოეწონოს ბანაკის ხელმძღვანელს. ამ ბანაკის ხელმძღვანელი იყო დათო კირკიტაძის მოადგილე. ანუ, ეს არის იერარქიული სისტემა, რომელიც მეც შევამჩნიე.

გიორგი გაბაშვილი – პრობლემა, რომელიც ამ ფილმში რეალურად გამოჩნდა, მაგრამ მასზე არავის არაფერი უთქვამს, ის არის, რომ როგორც ბიჭები ლაპარაკობდნენ, ამ ბანაკში ვიღაცას 450 ლარი “თავანი” აქვს ვიღაცისთვის ჩასაბარებელი. აი, ეს არის რეალური პრობლემა.

დავით ბუხრიკიძე – მაინტერესებს, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას ან საზოგადოების ჯგუფს ხელი შეუწყეთ, დააფინანსეთ, რომ თქვენი იდეოლოგიის გარეშე ემუშავათ, რომ ასეთი ბანაკი სახელმწიფოს მიღმა ყოფილიყო?

გიორგი გაბაშვილი – 2006 წელს გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა „კულტურული მემკვიდრეობის ბანაკებმა“. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 16 ასეთი ბანაკი იყო. იყო სამინისტროს მიერ ორგანიზებული სპორტული ბანაკებიც. ეს პროგრამა სამინისტრომ განახორციელა, იმიტომ რომ საქართველოში არ არის ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც 100 ათას ბავშვს გასწვდებიან.

ნინო გოგუა, ჟურნალი „ლიბერალი“ – თუ ყველანი თანხმდებით იმაზე, რომ პრობლემები მართლაც არსებობს პატრიოტთა ბანაკში, ამასთან, თუ ხდება ლიდერთა გადაძაბვა, რატომ არ იცვლება ეს პრობლემები წლიდან წლამდე?

გიორგი გაბაშვილი – ბევრი რამ იცვლება. 2006 წელს ბევრი რამ უკეთესი იყო, ვიდრე წინა წელს და ა.შ. მარტო ინფრასტრუქტურას არ ვგულისხმობ, იცვლება ლიდერების მომზადებაც. ბევრად უფრო მეტია იმ ლიდერების რაოდენობა, რომლებსაც ამ ბავშვებთან აღეკვამურად ურთიერთობა შეუძლიათ.

ანი ჭეიშვილი – ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო იქნება იმ ადამიანის აზრის მოსმენა, რომელიც ნამყოფია პატრიოტთა ბანაკში. ზუსტად ვარციხეში ვიყავი შარშანწინ. იმიტომ წავედი, რომ მაინტერესებდა იქ რა ხდებოდა, და არა იმიტომ რომ სხვა წასასვლელი არ მქონდა. იქ კარგიც ხდება და ცუდიც.

ცხადია, ფილმში დაფიქსირდებოდა სუბიექტური აზრი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ის ნეგატიური განწყობით იყო გადაღებული. მე მყავდა ლიდერები, რომლებსაც მსგავსი ტერმინოლოგიით არ უსაუბრიათ ჩემთან. ჩემი ლიდერი ლიდერობიდან იმის გამო გააგდეს, რომ დისციპლინა ვერ დაამყარა ჩვენს რაზმში. ამან ბავშვების დიდი პროტესტი გამოიწვია. ლიდერი დამნაშავე არ ყოფილა, უბრალოდ იყო ერთი ბავშვი, რომელიც სხვებთან ერთად არ ჭამდა და ამის გამო გააგდეს ლიდერი.

იყო კვებასთან, ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ არ უნდა ვისაუბროთ მხოლოდ უარყოფით კონტექსტში.

სანდრო ლომაშვილი – მიმაჩნია, რომ ფილმში ზედმეტად იყო დრამატიზებული ცალკეული მომენტები. ავიღოთ სადილის სცენა. მე, როგორც რიგით მაყურებელს დამრჩა შთაბეჭდილება, რომ რკინის თევზებით და ასეთი აქსესუარებით თქვენ გსურდათ გამოგეწვიათ გარკვეული ასოციაციები.

დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი –

ბატონო გიორგი, თქვენ ამბობთ, რომ პატრიოტიზმი სახელმწიფოებრივია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კონსტიტუცია, რომელიც 1995 წელს მიიღეს, კორუფციის შედეგი იყო. ჩვენ უნდა მივესალმოთ ამ კონსტიტუციას?

ლევან კოლუაშვილი, კინორეჟისორი – ბავშვებს დისციპლინას თუ ასწავლიან და ისტორიას წაუკითხავენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ამ ბანაკების ცალსახად ჩამოწერა არა მგონია, სწორი იყოს. ფილმი, როგორც რეჟისორს, მგონია, რომ ნეგატიურად არის გადაღებული. სიმართლე ალბათ უფრო ღრმა არის.

– მახსოვს პირველი რამდენიმე დღე ძალიან ცუდად ვიყავი იმ აგრესიის გამო, რომელიც მოდიოდა ლიდერების მხრიდან. იმიტომ ძალიან შემშურდა იმ ბავშვის, რომელმაც პროტესტის ნიშნად დატოვა ბანაკი. უსიამოვნო განწყობას მიქმნის იმის გააზრება, რომ მე არ გავაკეთე ეს. თუმცა, მხოლოდ ცუდი არ მახსენდება.

ყველაზე დიდი პრობლემა ლიდერების შერჩევაშია, ჩემს ლიდერს მაგალითად, არ გაუვლია ტრენინგები. როცა ვკითხე, რა მოეწონა ლიდერობაში, ასე მიპასუხა, რომ „ძალიან მაგარია, რომ ბავშვებს აჩმორებს“.

სალომე ჯაში – დრამატიზებას რკინის თევშებში მე ვერ ვხედავ. იქ რეალურად იყო ასეთი თევშები. რაც შეეხება შეკითხვას დაკარგულ თაობაზე, ვერ დაგეთანხმებით, ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე იცვლება.

ლამა ბულაძე – პატრიოტიზმის და ნაციონალიზმის მიმართება ძალიან რთული საკითხია და ამაზე ძალიან დიდხანს შეგვიძლია ვისაუბროთ. ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ჯერ მხოლოდ 18 წლის ვართ, და როდესაც ამდენი ხანი არ გქონია სახელმწიფო, ბუნებრივია, ეს თემები გადარდებდეს. თუმცა, ჩვენი ღელვა ზედაპირულია, და საერთოდ, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ზედაპირულობაშია. მე ვფიქრობ, რომ რაღაც რომ გიყვარდეს, მას უნდა იცნობდე. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცით, რასთან გვაქვს საქმე. ვგულისხმობ ჩვენს ისტორიას, აწმყოს, ჩვენს უახლეს ისტორიას, თუნდაც უკანასკნელ ოც წელიწადს, და ამიტომაც ვრჩებით ამ პათეტიკურ ტალღაზე.

გამოსავალი არსებობს. გიგი თევზაძემაც თქვა, რომ პრობლემა არის განათლების სისტემაში. ცხადია, განათლებაში და გაუნათლებლობაში არის პრობლემა. ეს ტერმინებიც ასეთი მტკივნეული, გამაღიზიანებელი და პათეტიკური აღარ იქნება, როდესაც რეალურად გავერკვევით ჩვენს ისტორიაში, საკუთარ თავებში. იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი პრობლემები 3-4 საუკუნის წინ მოილიეს, დამიჯერეთ, რომ ნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს, ამ ტერმინებსაც კი აღარ ხმარობენ.

შორენა შავერდაშვილი – რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისთვის, რომ პატრიოტული ბანაკები უკეთესი გახდეს?

გიორგი გვახარია – მე მგონი, ძალიან კარგი იქნება, თუ იმ ფილმს, რომელიც სალომემ გვიჩვენა, ვუჩვენებთ საქართველოს მთავრობას. დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება მთავრობის წევრებმა დაიცვან პატრიოტთა ბანაკები, ისე როგორც ბატონმა გიორგიმ დაიცვა, მაგრამ გულის სიღრმეში ყველა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. რადგან ჩვენ მართლა უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა. გვინდა თუ არა ქვეყანა, სადაც იქნებიან მორჩილი ადამიანები, რომლებიც ერთ დამახეზაზე დამწკრივდებიან, არის ასეთი ქვეყნებიც. მით უმეტეს, ქვეყანაში ისეთი სიტუაცია, შეიძლება ეს სწორიც იყოს. ოღონდ ეს გულწრფელად უნდა გვითხრან და ჩვენ ამაზე ვიკამათოთ. თუ გვინდა თავისუფალი და განათლებული ადამიანები.

ბევრი მეთოდი არსებობს, ადამიანებს თამაშით მიანიჭო განათლება, მივცეთ ბუჩქებში შესვლის უფლება, ეს იქნება ყველაზე კარგი. როცა პირველად მოვისმინე მიხეილ სააკაშვილის ის ცნობილი ფრაზა, აღფრთოვანდი და ვიფიქრე, რომ ძლივს, ახალგაზრდებს ექნებათ ზაფხულის ერთად გატარების საშუალება. მაგრამ ბუჩქების მაგივრად სრულიად საშინელი სპექტაკლი მივიღე. ბატონო გიორგი, თქვენ ბრძანეთ, რომ ბავშვები ცივ იარაღს აღარ ხმარობენ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ამ სპექტაკლში ბავშვების მონაწილეობა ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ცივი იარაღის ხმარება. საბოლოოდ, ამ ქალის ყურების დროს, კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ კანონიერი ქურდის ინსტიტუტი თითქოს აღარ არსებობს საქართველოში, მაგრამ სინამდვილეში მივიღეთ სახეშეცვლილი კანონიერი ქურდობა ამ ბანაკებში. აქ ეთნიკური ნაციონალიზმი ნამდვილად არ არის, მაგრამ პიონერთა ბანაკშიც ვყოფილვარ ბავშვობაში, არტეკში და არც იქ ყოფილა. იქაც გვასწავლიდნენ, რომ ყველა ერთი თანასწორია, არ შეიძლება სხვისი შეურაცხყოფა და რომ ლიდერი მართალია. ამ ორ ბანაკს შორის დიდი განსხვავება ვერ დავინახე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ

პატრიოტთა ბანაკი ცუდია, პირიქით, ალბათ, ყველამ უნდა ვიფიქროთ, როგორ გამოვასწოროთ.

ბოლოს სალომესთან მექნება ერთი პატარა შენიშვნა. მეც, როგორც კინომცოდნეს, მომეჩვენა, რომ ფილმში მაინც იგრძნობოდა წინასწარგანწყობა ბანაკის მიმართ. არ მიყვარს დოკუმენტური კინო, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, ვისაც როგორ უნდა, ისეთ რაკურსში გამოხატავს რეალობას. ყველას მინდა ვურჩიო, რომ ეს აკვიატებული წინასწარი განწყობილებები არ იყოს.